

მე-10 კლასი

ანალოგიები

1. მცენარე:ბოტანიკა

ა. გეომეტრია:გეოგრაფია    ბ. ოპტიკა:სათვალე    გ. ადამიანი:ანატომია

წვიმა:ქოლგა

ა. ტყვია:ჯავშანქილეტი    ბ. ფარი:ხმალი    გ. სკაფანდრი-ჩაფხუტი

დამორჩილება:მორჩილი    გათავისუფლება:

ა. მონა    ბ. ტყვე    გ. თავისუფალი

წინადადებების შევსება

უხვი მოსავლის მიღების \_\_\_\_\_ პირობაა \_\_\_\_\_ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს \_\_\_\_\_ ჩატარება, თუმცა ამინდმაც უნდა შეგიწყოს ხელი.

ა. საკმარისი/ყველა/ერთდროულად

ბ. აუცილებელი/ყველა/დროულად

გ. საკმარისი/ზოგი/ზუსტად

კვლევებმა ცხადყო, რომ თამაშისას ბავშვი \_\_\_\_\_, შესაბამისად, მასწავლებლები გაკვეთილებზე თამაშებს \_\_\_\_\_.

ა. უკეთ სწავლობს/აქტიურად იყენებენ

ბ. ძნელად სწავლობს/ხშირად იყენებენ

გ. უკეთ სწავლობს/ძალიან იშვიათად

\_\_\_\_\_, რომ გამოცდისთვის მომზადებული \_\_\_\_\_, მაინც \_\_\_\_\_ დავწერე.

ა. იმის მიუხედავად/ვიყავი/კარგად

ბ. გამომდინარე იქიდან/არ ვიყავი/ცუდად

გ. მიუხედავად იმისა/თითქმის არ ვიყავი/კარგად

ლოგიკა

გიომ, საბამ, ქეთიმ და ლანამ ერთმანეთი დახატეს. თითოეულმა ბავშვმა \_ თითო დანარჩენი სამიდან. ვინ დახატა საბამ, თუ ცნობილია, რომ გიომ დახატა ქეთი, ხოლო ლანა ორმა ბავშვმა დახატა?

ა. ლანა    ბ. ქეთი    გ. გიომ

ცნობილია, ყველა კინგსელს უყვარს შოკოლადი. რომელი დებულება გამომდინარეობს ამ დებულებიდან?

- ა. ყველა შოკოლადის მოყვარული კინგსელია
- ბ. საკმარისია იყო კინგსელი, რომ გიყვარდეს შოკოლადი
- გ. საკმარისია გიყვარდეს შოკოლადი, რომ იყო კინგსელი

ცნობილია, რომ ყველა ვეფხვი ბუნებით ავია. რომელი დებულება არ გამომდინარეობს ამ დებულებიდან?

- ა. ზოგიერთი ბუნებით ავი არსება ვეფხვია
- ბ. არ არსებობს ვეფხვი, რომელიც ბუნებით ავი არ არის
- გ. არ არსებობს ბუნებით ავი არსება, რომელიც ვეფხვი არ არის

მონაცემთა საკმარისობა

ლაშას ჩაფიქრება რიცხვი. მოცემულია ორი პირობა:

I : ლაშას ჩაფიქრებული რიცხვი იყოფა 11-ზე

II : ლაშას ჩაფიქრებული რიცხვი მეტია 120-ზე და ნაკლებია 130-ზე

იმისათვის, რომ გავიგოთ რა რიცხვი ჩაუფიქრებია ლაშას

ა. საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე II პირობა

ბ. II პირობა საკმარისია, I კი არა

გ. საკმარისია ორივე პირობა ერთად, ცალ-ცალკე კი არც ერთი პირობა არ არის საკმარისი

საბამ დახატა ოთხკუთხედი. მოცემულია ორი პირობა:

I : საბას ოთხკუთხედი რომბია

II : საბას ოთხკუთხედის პერიმეტრია 20სმ

იმისათვის, რომ გავიგოთ რას უდრის საბას ოთხკუთხედის ფართობი

ა. მოცემული პირობები არ არის საკმარისი

ბ. II პირობა საკმარისია, I კი არა

გ. I პირობა საკმარისია, II კი არა

მოცემულია ორი პირობა:

I :  $|a| = 5$

II :  $a > 0$

იმისათვის, რომ გავიგოთ რას უდრის  $a^2$

ა. საკმარისია ორივე პირობა ერთად, ცალ-ცალკე კი არც ერთი პირობა არ არის საკმარისი

ბ. I პირობა საკმარისია, II კი არა

გ. საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე II პირობა

მათემატიკური აზროვნება

რომელია მეტი? შემოხაზეთ ა თუ მეტია A, შემოხაზეთ ბ თუ მეტია B და შემოხაზეთ გ თუ  $A=B$

$A = 143$ -სა და  $77$ -ის უმცირესი საერთო ჯერადი

$B = 143$ -სა და  $77$ -ის ნამრავლი

ა ბ გ

რამდენი ორნიშნა რიცხვი არსებობს, რომელიც 9-ზე გაყოფისას ნაშთს გვაძლევს 2-ს?

ა. 10 ბ. 11 გ. 9

მხოლოდ პირველი ონკანი ცარიელ აუზს ავსებს 6 საათში. პირველი და მეორე ონკანი ერთად კი(ასევე ცარიელ აუზს) \_ 2 საათში. რა დრო ჭირდება აუზის ასავსებად მხოლოდ მეორე ონკანს?

ა. 9 საათი ბ. 4 საათი გ. 3 საათი